ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-622

„12" „ოქტომბერი" 2022 წ.

ქალაქ თბილისში, 2022 წლის 14-16 ოქტომბერს Act4culture- ის ეგიდით თბილისში დაგეგმილ საერთაშორისო სიმპოზიუმის -,,The Next Generation of Cultural Spaces", თბილისის მერიის და ევროკავშირის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკის" მხარდაჭერის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 20 სექტემბერს №10/01222631678-01 ა(ა)იპ "საქართველოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთობის" (ს/ნ 402162495) წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისში, 2022 წლის 14-16 ოქტომბერს Act4culture-ის ეგიდით თბილისში დაგეგმილ საერთაშორისო სიმპოზიუმის -,,The Next Generation of Cultural Spaces", თბილისის მერიის და ევროკავშირის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკის" ექსპორტის მხარდაჭერის ფარგლებში, დაგეგმილი ღონისძიებების მოწვეული სტუმრების ავია ბილეთის, დარბაზის იჯარის, სასტუმროში განთავსების, კვებითი გამასპინძლების, ტრანსპორტირების ხარჯისა და სასაჩუქრე ნაკრების ანაზღაურება 20000 (ოცი ათასი) ლარის ფარგლებში ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს (წარმოდგენილი ევროკომისიის სახით) შორის 2017 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ENI/2017/394-803 - საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადგილობრივი თანადაფინანსების ფარგლებში.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამით ,,ბიზნესის სტიმულირება" (კოდი: 04 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიების გატარება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200